

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №251

2017 წლის 22 მაისი

ქ. თბილისი

**„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 07/04/2015, 300160070.10.003.018537) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“:

#### 1. მე-4 მუხლის:

ა) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) რძე მშრალი (რძის ფხვნილი) – რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის ნაწილობრივ გაუწყლოებით. ცხიმშემცველობის მიხედვით, მშრალი რძე შეიძლება იყოს მოუხდელი, მოხდილი (გაუცხიმოებული) და ნაწილობრივ მოხდილი (ნაწილობრივ გაუცხიმოებული);“;

ბ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) ნაღები – მაღალი ცხიმშემცველობის რძის თხევადი ნაწარმი, რძის პლაზმისა და ცხიმის ემულსია, წარმოებული რძის სეპარირებით;“;

გ) „პ<sup>31</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ<sup>31</sup>) კარაქი შემცირებული რძის ცხიმით – რძის ნაწარმი, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 39%-ს და არაუმეტეს 79%-ს შეადგენს;“;

დ) „პ<sup>37</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ<sup>37</sup>) ყველი – რძისგან დამზადებული პროდუქტი, მომწიფებული ან მოუმწიფებელი, ნახევრადმაგარი, მაგარი ან/და ძალიან მაგარი რძის ნაწარმი, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, რომელშიც შრატის ცილებისა და კაზეინის თანაფარდობა არ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს რძეში;“;

ე) „პ<sup>71</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ<sup>71</sup>) სეპარირება – ნედლი რძის ან აღდგენილი რძის დაყოფა მაღალი და დაბალი ცხიმშემცველობის ფრაქციებად;“;

ვ) „პ<sup>91</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ<sup>91</sup>) ჩედერიზაცია – რძის ან ყველის მასის დემინერალიზაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს დვრიტას, რძემჟავა ბაქტერიების მიერ რძის შაქრის დუღილის შედეგად ან რძის უშუალოდ ორგანული მჟავებით შემჟავებისას წარმოქმნილი რძემჟავას მოქმედებით. გამოიყენება ნახევრადმაგარი და რბილი ყველის წარმოებაში;“;

ზ) „პ<sup>93</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3<sup>3</sup>) მაწონი – ქართული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტი, რომელიც მიიღება ძროხის, კამეჩის, თხის, იშვიათად ცხვრის ან ალდგენილი, ნორმალიზებული და პასტერიზებული რძის ან მათი ნარევის შედედებით, საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში გამოყოფილი, ადგილობრივი რძემჟავა ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დედოთი.“.

## 2. მე-5 მუხლის 38-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„38. შრატის ფხვნილის ეტიკეტზე შესაძლებელია განთავსდეს ინფორმაცია – „შაქრით“ იმ შემთხვევაში, თუ მასში ლაქტოზის მასური წილი არანაკლებ 65%-ს შეადგენს, ცილის მასური წილი არანაკლებ 11%-ია, ნაცრის მასური წილი არაუმეტეს 8,5%-ია, ხოლო 10%-იანი ხსნარის მჟავიანობა (pH) აღემატება 6-ს.“.

## 3. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის:

### ა) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) კარაქი შემცირებული რძის ცხიმით – უნდა შეიცავდეს არანაკლებ 39% და არა უმეტეს 79% რძის ცხიმს. დაუშვებელია პროდუქტის წარმოებაში მცენარეული ან სხვა ცხიმის გამოყენება. ამასთანავე, რძისათვის არადამახასიათებელი კომპონენტ(ებ)ის დამატება არ უნდა ხდებოდეს რძის შემადგენელი კომპონენტ(ებ)ის ჩანაცვლების მიზნით;“;

### ბ) „3<sup>5</sup>“ და „3<sup>6</sup>“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3<sup>5</sup>) შრატის ფხვნილში რძის ცილის შემცველობა არანაკლებ 10%-ს შეადგენს, რძის ცხიმის შემცველობა საშუალოდ 2%-ია, ლაქტოზა საშუალოდ 61%-ია, სინესტის მასური წილი შეადგენს არაუმეტეს 5%-ს, ნაცრის ელემენტები – 9,5%-ს, ხოლო მჟავიანობა (pH) აღემატება 5,1-ს;

3<sup>6</sup>) შემჟავებულ შრატის ფხვნილში რძის ცილის შემცველობა არანაკლებ 7%-ს შეადგენს, რძის ცხიმის შემცველობა საშუალოდ 2%-ია, ლაქტოზა საშუალოდ - 61%, სინესტის მასური წილი – 4,5%, ნაცრის ელემენტები – 15%, ხოლო მჟავიანობა – (pH)  $\geq 5,1$ -ზე;“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

